მომხს: გ. ენუქიძე

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

„-----“ ნოემბერი 2019 წ.

ქ. თელავი

„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ოქტომბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ოქტომბრის №34 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ (www.matsne.gov.ge, 07/10/2019, 010250050.35.163.016483).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ოქტომბრის №34 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის რედაქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამა“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის დაფინანსების ქვეპროგრამა:

ზამთრის სეზონზე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების სათბობით (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, შეშა) უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსების მისაღებად განცხადებების მიღება დაიწყება ყოველი წლის აგვისტოს თვიდან დეკემბრის ჩათვლით. თანხა ჩაირიცხება დახმარების მიმღების საბანკო ანგარიშის ნომერზე. დაფინანსების გაცემა მოხდება ოჯახის სარეიტინგო ქულის მიხედვით:

ა. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა განსაზღვრულია 57

000 (ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ქულის ჩათვლით, გაიცეს ფინანსური დახმარება **200 (ორასი)** ლარის ოდენობით;

ბ. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა განსაზღვრულია 57 000 (ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ქულის ზემოთ 100 000 (ასი ათასი) ქულის ჩათვლით, გაიცეს ფინანსური დახმარება **100 (ასი)** ლარის ოდენობით;

გ) ქვეპროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

გ.ა) განცხადება;

გ.ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ.გ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

გ.დ) საბანკო ანგარიშის ნომერი.“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

ქ. თელავი 19.11.2019 წ.

განმარტებითი ბარათი

„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ოქტომბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ოქტომბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიამ 11.11.2019 წლის N194 წერილით მომართა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 ოქტომბრის №34 დადგენილებაში აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისა და თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში მოცემულ ანალოგიურ პროგრამასთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით.

წინამდებარე დადგენილების პროექტში გათვალისწინებული იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული რეკომენდაცია და ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის დაფინანსების ქვეპროგრამიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „ერთჯერადი“, ვინაიდან, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ოქტომბრის №34 დადგენილების მე-2 მუხლით დაწესდა დამატებითი გასაცემელი (100 ლარის ოდენობით) იმ ბენეფიციარებაზე, რომელთა სარეიტინგო ქულა განსაზღვრულია 57 000 (ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ჩათვლით და ვინც ამ დადგენილების ამოქმედებამდე ერთჯერადად უკვე ისარგებლა არსებული ქვეპროგრამით.

ცვლილების პროექტის დამტკიცება გავლენას არ მოახდენს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე, ვინაიდან, წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 ოქტომბრის №34 დადგენილებაში არსებული ხარვეზის გასწორებას მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული რეკომენდაციის შესაბამისად.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე წარმდგენი გახლავთ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.